პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი

გადაწყვეტილება №გ-1/080/2018

განცხადების განხილვის დასრულების შესახებ

ქ. თბილისი 16/02/2018

განმცხადებელი:

მოთხოვნა: საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურისა და საქართველოს მთავარი პროკურატურის მიერ ვებგვერდის მეშვეობით პერსონალური მონაცემების დამუშავების კანონიერების შესწავლა.

აღწერილობითი ნაწილი

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორს 2017 წლის 13 დეკემბერს განცხადებით (რეგისტრირებული: 13/12/2017; №PDP 8 17 00004459) მომართა რომელიც მიუთითებდა, რომ 2010 წლის საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა დააკავა და 2010 წლის [illegible] განმცხადებელს ამასთან, საქართველოს მთავარმა პროკურატურამ [illegible]

განმცხადებლის განმარტებით, 2010 წელს ინფორმაცია მისი შესახებ გამოქვეყნდა გარკვეული სახელმწიფო უწყებების კუთვნილ საიტებზე და დღემდე ინახება მონაცემები მათი სერვერების არქივებში და იძებნება სხვადასხვა საძიებო სისტემების საშუალებებით.

აღნიშნულ გმუღლებზე ხელმისაწვდომია ინფორმაცია მონაცემთა სუბიექტის შესახებ იდენტიფიცირებული ფორმით, რაც განმცხადებლის განმარტებით, ნეგატიურად მოქმედებს მის საქმიან რეპუტაციაზე.

ითხოვდა საკითხის შესწავლას და კანონმდებლობით გათვალისწინებული ზომების მიღებას.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის 2017 წლის 18 დეკემბრის №გ-1/562/2017 გადაწყვეტილებით განსახილველად იქნა მიღებული 2017 წლის 13 დეკემბრის №PDP 8 17 00004459 განცხადება.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატის უფლებამოსილმა პირმა განცხადებაში მითითებული ვებგვერდების გადამოწმების შედეგად დაადგინა, რომ:

- საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვებგვერდზე გასაჯაროებულია 2010 წლის დათარიღებული შემდეგი შინაარსის განცხადება:

- საქართველოს პროკურატურის ვებგვერდზე

ქართულ და ინგლისურ ენებზე გასაჯაროებულია 2017 წლის დათარიღებული განცხადებები, რომლითაც საზოგადოებას მიეწოდება ინფორმაცია საქართველოს მთავარი პროკურატურის სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტის გადაწყვეტილებით დაზარალებული მოქალაქეებისათვის უკანონოდ ჩამორთმეული ქონების დაბრუნების თაობაზე. აღნიშნულ განცხადებებში იდენტიფიცირებული ფორმით მითითებულია

განცხადების განხილვის ფარგლებში, 2017 წლის 27 დეკემბრის №PDP 3 17 00004634, №PDP 2 17 00004633 და №PDP 5 17 00004627 წერილებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურიდან (შემდგომში - საგამოძიებო სამსახური), საქართველოს ფინანსთა სამინისტროდან (შემდგომში - სამინისტრო) და საქართველოს მთავარი პროკურატურიდან (შემდგომში - პროკურატურა) გამოთხოვილ იქნა შესაბამისი ინფორმაცია.

2018 წლის 09 იანვრის №120/15-02 (რეგისტრირებული: 11/01/2018; №PDP 4 18 00000115) და 2018 წლის 29 იანვრის №PDP 8 18 00000335 წერილებით, საგამოძიებო სამსახურმა ინსპექტორის აპარატში წარმოადგინა შემდეგი ინფორმაცია:

- საგამოძიებო სამსახური არის საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების სტატუსით შემავალი სპეციალური სამართალდამცავი ორგანო, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ახორციელებს საფინანსო-ეკონომიკურ სფეროში დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლას, სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით მისი ქვემდებარეობისთვის მიკუთვნებულ საქმეთა გამოძიებასა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ სხვა ფუნქციებს;
- „საგამოძიებო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრულია საგამოძიებო სამსახურის მიზნები და ამოცანები. ამავე კანონის თანახმად, სამსახურის მიზანს წარმოადგენს დანაშაულის თავიდან აცილება (დანაშაულის პრევენცია), გამოვლენა, გამოძიების სრული მოცულობით ჩატარება და სისხლის სამართლის კოდექსით, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით, „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ" კანონითა და სხვა ნორმატიული აქტებით მინიჭებული უფლებამოსილების განხორციელება;
- საგამოძიებო სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია კომპეტენციის ფარგლებში ხელი შეუწყოს საფინანსო-ეკონომიკურ სფეროში დანაშაულის საფრთხეებისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებში მოქალაქეთა თვითშეგნების ამაღლებას, საფინანსო-ეკონომიკურ სფეროში დანაშაულის პრევენციისა და მასთან ბრძოლის უზრუნველსაყოფად;
- საგამოძიებო სამსახური, მაღალი საჯარო ინტერესიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიიჩნევს საზოგადოების კანონიერი ინტერესების დასაცავად მათ ინფორმირებას ფინანსური დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში გატარებული კონკრეტული

ღონისძიებების (მნიშვნელობა ენიჭება ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს და ხასიათს, პირის მიმართ კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გამამტყუნებელ განაჩენს და ასევე, კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმეზე საბოლოო მიზნის მიღწევას - დანაშაულის აღმოფხვრას) და მათი დადებითი შედეგების (დანაშაულის პრევენცია) შესახებ;

- „საგამოძიებო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად, საგამოძიებო სამსახური პასუხისმგებელია საქართველოს მთავრობისა და სამინისტროს წინაშე. შესაბამისად, საგამოძიებო სამსახურის უფროსი საქართველოს მთავრობასა და საქართველოს ფინანსთა მინისტრს წარუდგენს ანგარიშს საგამოძიებო სამსახურის მიერ გაწეული საქმიანობისა და პრიორიტეტული მიმართულებების შესახებ;
- საგამოძიებო სამსახურში 2012 წლის სექტემბრის თვემდე საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური რაიმე ფორმით არ არსებობდა და შესაბამისად, როგორც წესი, აღნიშნულ პერიოდამდე საზოგადოების ინფორმირებას სამსახურის კომპეტენციას მიკუთვნებული საქმიანობის განხორციელების თაობაზე ახდენდა საქართველოს ფინანსთა სამინისტრო;
- მოცემულ შემთხვევაში, სახელმწიფოსთვის მილიონობით ლარის ოდენობის ზარალის მიყენების ფაქტის გამოვლენის მიმართ არსებობდა მაღალი საჯარო ინტერესი და ინფორმაციის სამინისტროს ვებგვერდზე გავრცელება, საზოგადოების ინფორმირება ზოგადი წესის შესაბამისად, ხელს შეუწყობდა პრევენციას გონივრული ვადით;
- საგამოძიებო სამსახურის კანცელარიაში არსებულ არქივში არ მოიპოვება ინფორმაცია აღნიშნულ საკითხზე საგამოძიებო სამსახურსა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შორის ინფორმაციის გაცვლის თაობაზე. ამასთან, ინფორმაცია ვებგვერდზე განთავსდა 2010 წელს, ხოლო „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონი ამოქმედდა 2012 წლის 01 მაისს და ის მონაცემთა დამმუშავებლებს არ ავალდებულებს კანონის ამოქმედებამდე დამუშავებული ინფორმაციის წაშლას და განადგურებას;
- საგამოძიებო სამსახურში არ მოიპოვება ინფორმაცია საგამოძიებო სამსახურსა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შორის მიერ

  შესახებ ინფორმაციის გავრცელების/წაშლის/განადგურების საკითხთან დაკავშირებით;
- საგამოძიებო სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას განმარტოს დღეის მდგომარეობით რა მიზანს ემსახურება ვებგვერდზე ზემოაღნიშნული ინფორმაციის განთავსება, ვინაიდან საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვებგვერდზე ინფორმაციის განთავსება და მისი შემდგომი მართვა სცილდება საგამოძიებო სამსახურის კომპეტენციას;
- სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას სცოდნოდა დღემდე ამ ინფორმაციის ღია წყაროებზე ხელმისაწვდომობის შესახებ. ამასთან, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის ამოქმედებიდან პერსონალური მონაცემების შემცველი ინფორმაციის განთავსება საგამოძიებო სამსახურის ვებგვერდზე ხორციელდება მხოლოდ კანონით განსაზღვრული საჯარო თანამდებობის პირებზე.

2018 წლის 22 იანვრის №08-02/7102 (რეგისტრირებული: 22/01/2018; №PDP 3 18 00000213) წერილით, ასევე 2018 წლის 26 იანვარსა და 06 თებერვალს ინსპექტორის აპარატში გამართულ შეხვედრებზე, სამინისტრომ განმარტა, რომ:

- პერსონალური მონაცემების შემცველი ინფორმაცია ვებგვერდზე გამოქვეყნდა 2010 წელს მაშინ მოქმედი სამართლებრივი აქტების საფუძველზე, რადგან იმ პერიოდისათვის არ არსებობდა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონი. ამასთან, მიუხედავად იმ გარემოებისა, რომ ინფორმაცია დღემდე ხელმისაწვდომია ვებგვერდზე, ვინაიდან ქმედება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ განხორციელდა 2010 წელს, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონი არ ადგენს რეგულაციებს მის ამოქმედებამდე წარმოშობილ შესაბამის სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით;
- ფაქტის შესახებ ინფორმაცია საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ მიიღო საგამოძიებო სამსახურისგან სავარაუდოდ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით; აღნიშნული ინფორმაცია განთავსებულია სამინისტროს - რომლის მიზანია ძველ მოვლენებთან დაკავშირებით საზოგადოების ინფორმირება;
- 2010 წელს მონაცემების ვებგვერდზე განთავსება ემსახურებოდა საგამოძიებო სამსახურის საქმიანობის შესახებ საზოგადოების ინფორმირების მიზანს და აღნიშნული ინფორმაცია დღემდე იმავე მიზნით არის ხელმისაწვდომი ვებგვერდზე. თავის მხრივ, საზოგადოების ინფორმირება მიზნად ისახავდა მათ გაფრთხილებას, რომ კონკრეტულ დარღვევას სახელმწიფო ორგანოს მხრიდან მოჰყვება ადეკვატური რეაგირება. ამასთან, იგივე მიზანი არსებობს დღესაც, ვინაიდან კანონმდებლობა არ შეცვლილა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის ფუნქცია არის კონკრეტულ დანაშაულებრივ ქმედებებზე კანონით გათვალისწინებული რეაგირების განხორციელება;
- პერსონალური მონაცემების დამუშავება სამინისტროს ვებგვერდზე გასაჯაროების გზით არ ხორციელდება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრული რომელიმე საფუძვლით, ვინაიდან სამინისტრო არ წარმოადგენს არც მონაცემთა დამმუშავებელს და არც უფლებამოსილ პირს. განცხადება ვებგვერდზე გამოქვეყნდა 2010 წელს, აღნიშნული კანონის ამოქმედებამდე და შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაზე (დღეის მდგომარეობითაც) არ ვრცელდება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის მოქმედება;
- დღეის მდგომარეობით ინფორმაციის საჯაროობა არ ემსახურება საგამოძიებო სამსახურის მიზნებს;
- საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დებულების შესაბამისად, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამმართველო იღებს გადაწყვეტილებას კონკრეტული ინფორმაციის სამინისტროს ვებგვერდზე განთავსების შესახებ. უწყებაში არ არსებობს კონკრეტული

შიდა რეგულაცია ვებგვერდზე ინფორმაციის გასაჯაროების წესთან დაკავშირებით, თუმცა, არსებული პრაქტიკის თანახმად, სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფები აწვდიან ინფორმაციას ზემოაღნიშნულ სამმართველოს მათ მიერ განხორციელებული საქმიანობის შესახებ და საბოლოო გადაწყვეტილება ინფორმაციის გასაჯაროებასთან დაკავშირებით მიიღება საზოგადოებასთან ურთიერთობის სამმართველოს მიერ;

- სამინისტროში არ არის დარეგულირებული საიტზე განთავსებული ინფორმაციის წაშლის წესი, თუმცა დამკვიდრებული პრაქტიკით, ინფორმაციის წყაროს (კონკრეტული სტრუქტურული ერთეულის) მიმართვის საფუძველზე მიიღება გადაწყვეტილება საზოგადოებასთან ურთიერთობის სამმართველოს მიერ მონაცემთა წაშლის შესახებ. საგამოძიებო სამსახური არ არის ინფორმირებული ინფორმაციის წაშლის წესთან დაკავშირებით დამკვიდრებული პრაქტიკის შესახებ;
- სამინისტროს დამოუკიდებლადაც შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ინფორმაციის ვებგვერდიდან წაშლის თაობაზე. თუმცა, სტრუქტურული ერთეულის მიერ წაშლის მოთხოვნით მიმართვის არარსებობის შემთხვევაში, შესაძლოა ინფორმაცია ვებგვერდზე იყოს განთავსებული განუსაზღვრელი ვადით;
- სამინისტროსთვის დღეს არსებული მიზნის მიღწევა შესაძლებელია განცხადებაში მითითებული პერსონალური მონაცემების დეპერსონალიზაციის შემთხვევაშიც;
- სამინისტროს ვებგვერდზე გასაჯაროებული ინფორმაცია, გარდა შეიცავს სხვა პირთა პერსონალურ მონაცემებსაც. განცხადებაში მითითებული სხვა პირთა შესახებ ინფორმაციის გასაჯაროება, მსგავსად მოცემული შემთხვევისა, მიზნად ისახავდა საზოგადოების ინფორმირებას;
- სამინისტროს არ გააჩნია ვებგვერდზე გასაჯაროებულ განცხადებაში მითითებული მონაცემთა სუბიექტების თანხმობა მონაცემების ამ ფორმით დამუშავებაზე;
- საგამოძიებო სამსახურს 2010 წლიდან დღემდე სამინისტროსთვის აღნიშნული ინფორმაციის წაშლის მოთხოვნით არ მიუმართავს.

2018 წლის 09 იანვრის №13/1733 წერილით (რეგისტრირებული: 09/01/2018; №PDP 9 18 00000084), 2018 წლის 06 თებერვალს გამართულ შეხვედრაზე და 2018 წლის 15 თებერვალს შემდგარი სატელეფონო კომუნიკაციისას, პროკურატურამ წარმოადგინა შემდეგი ინფორმაცია:

- საქართველოს მთავარი პროკურატურის სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტის (შემდგომში - დეპარტამენტი) დებულების მიხედვით, დეპარტამენტის ამოცანებია: სამართალწარმოების მიმდინარეობისას შესაძლო დანაშაულებრივ ფაქტებზე, მათ შორის წამების, არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობის, ქონების იძულებით დათმობისა და სხვა იძულების ფაქტებზე პროკურატურის მიერ დადგენილ საქმეებზე სრული მოცულობით გამოძიების წარმოება და სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელება;

- 2017 წლის 16 იანვარს დეპარტამენტის წარმოებაში არსებულ 03 (სამი) სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილი იქნა შემაჯამებელი გადაწყვეტილებები და საქართველოს მთავრობის 2015 წლის 25 მაისის №1044 განკარგულების საფუძველზე დაზარალებულებს დაუბრუნდათ უკანონოდ ჩამორთმეული ქონება [illegible]

- დეპარტამენტის მუშაობის შედეგები ყოველთვის ექცევა საზოგადოების ინტერესის სფეროში, შესაბამისად, პროკურატურაში დადგენილ იქნა პრაქტიკა, რომ პერიოდულად ხდება აღნიშნული დეპარტამენტის მუშაობის შედეგების გასაჯაროება, რაც ითვალისწინებს დაზარალებულებთან შეხვედრის ფორმატს, სამართლებრივი კონსულტაციის გაწევას მასმედიის წარმომადგენლების თანდასწრებით და დეპარტამენტის მუშაობის ამსახველი პრესრელიზის განთავსებას პროკურატურის ვებგვერდზე;
- დაზარალებულად ცნობის შესახებ დადგენილების გამოტანის შემდეგ ჩატარდა საინფორმაციო შეხვედრა დაზარალებულებთან, მათ შორის

  მათ განემარტათ, რომ ცნობილ იქნენ დაზარალებულებად და დაიწყებოდა მათ მიმართ უკანონოდ ჩამორთმეული ქონების დაბრუნების სამართლებრივი პროცედურები. ასევე, განემარტათ, რომ ჩატარდებოდა შეხვედრა მასმედიის წარმომადგენლების თანდასწრებით და მათი თანხმობის შემთხვევაში, გასაჯაროვდებოდა მათი საქმეები და მიღებული შედეგები, სურვილის შემთხვევაში კი თავადაც ექნებოდათ საკუთარ საქმეებზე სატელევიზიო კომენტარის გაკეთების შესაძლებლობა;
- შეხვედრაზე ყველა დაზარალებულის მიერ გაცხადებულ იქნა თანხმობა მათ საქმეებზე მოკლე ინფორმაციის გასაჯაროების შესახებ და გამოითქვა სურვილი დაგეგმილ ფორმატში მიეღოთ მონაწილეობა;
- შემთხვევაში სატელევიზიო კომენტარი გააკეთა და თავად გახადა საჯარო

  ძესახებ იხფოოძაცია;
- საქართველოს მთავარი პროკურატურის სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტის მიერ გადაგზავნილ იქნა შესაბამისი საქმეების შესახებ ინფორმაციის შემცველი პრესრელიზი საქართველოს მთავარი პროკურატურის საზოგადოებასთან და მასმედიასთან ურთიერთობის დეპარტამენტში ვებგვერდზე განთავსების მიზნით;
- ხშირ შემთხვევაში, დაზარალებულების სურვილია მედიასთან ურთიერთობა, თუმცა ინტერვიუს ჩაწერის წინ საზოგადოებასთან და მასმედიასთან ურთიერთობის დეპარტამენტის წარმომადგენელი კიდევ ერთხელ აზუსტებს, არიან თუ არა თანახმა ისინი ჟურნალისტებს მისცენ ინტერვიუ და მხოლოდ მათი თანხმობის მიღების შემდეგ ტარდება შეხვედრა მედიის წარმომადგენლებთან;

- პერსონალური/განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების ვებგვერდზე განთავსებისა და მედიისათვის გამჟღავნების საკითხზე პროკურატურას მონაცემთა სუბიექტებისაგან ჰქონდა მხოლოდ ზეპირი ფორმით და არა წერილობით გაცხადებული თანხმობა. ამასთან, დაზარალებულებთან შეთანხმებული იყო ის გარემოებები, რომელთა გასაჯაროებაც მოხდებოდა პროკურატურის მიერ;
- განცხადება ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსდა პროკურატურის სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტის საქმიანობის შესახებ საზოგადოების ინფორმირების მიზნით და აღნიშნული მიზანი ვერ მიიღწეოდა მონაცემების იდენტიფიცირებული ფორმით განთავსების გარეშე;
- დაზარალებულებთან შეხვედრის და მათ მიერ გაკეთებული კომენტარების ამსახველი სატელევიზიო სიუჟეტი ასახულია ერთ-ერთ საინფორმაციო ვებგვერდზე

განცხადების განხილვის ფარგლებში, პროკურატურის მიერ მისი მონაცემების დამუშავების საკითხთან დაკავშირებით განმარტა, რომ პროკურატურის მიერ ოფიციალურ ვებგვერდზე 2017 წლის განთავსებული განცხადება (სათაურით

შეიცავს იდენტიფიცირებული ფორმით ინფორმაციას 2010 წელს მისი

ფაქტთან დაკავშირებით. განმცხადებლის განმარტებით, იდენტიფიცირებული ფორმით აღნიშნული მონაცემების ხელმისაწვდომობა ნეგატიურად მოქმედებს მის საქმიან რეპუტაციაზე და ითხოვს ინიციალებით მისი ვინაობის შეცვლას ან აღნიშნული მონაცემის წაშლას. განმცხადებელმა მიუთითა, რომ სატელევიზიო კომენტარში მისი იდენტიფიცირება არ მოახდინა და გააკეთა ზოგადი კომენტარი ფაქტთან დაკავშირებით. ასევე განმარტა, რომ საქართველოს მთავარი პროკურატურისთვის არ მიუცია წერილობითი თანხმობა მისი მონაცემების დამუშავების თაობაზე, ამასთან, დაზარალებულებთან საინფორმაციო შეხვედრაზე ზეპირი ფორმით თანხმობა განაცხადა არა მისი განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების დამუშავებაზე, არამედ სატელევიზიო კომენტარის გაკეთებაზე გარემოებების ზოგადი აღწერისა და უკანონოდ ჩამორთმეული ქონების დაბრუნების საკითხთან დაკავშირებით. ასევე, პროკურატურის მიერ გამოქვეყნებულ განცხადებასა და სატელევიზიო სიუჟეტში გამოყენებული ტექსტი, რომელიც შეიცავს პერსონალურ მონაცემებს იდენტიფიცირებული ფორმით, არ იყო შეთანხმებული მონაცემთა სუბიექტთან.

სამინისტროს მიერ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 გათვალისწინებული საფუძვლის გარეშე,

გასაჯაროების გზით დამუშავების ფაქტზე ინსპექტორის აპარატის წარმომადგენლის მიერ 2018 წლის 15 თებერვალს შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი №0000555. 2018 წლის 15 თებერვალს სამინისტროს წარმომადგენელი ინსპექტორის აპარატში გაეცნო და ხელი მოაწერა სამართალდარღვევის ოქმს და ახსნა-განმარტების სახით მიუთითა, რომ სამინისტროს ვებგვერდზე - ირსებული ინფორმაცია არის განთავსებული 2010 წელს და შესაბამისად, აღნიშნულზე ვერ გავრცელდება 2012 წელს ამოქმედებული „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონი. აღნიშნულიდან გამომდინარე, ის არ დაეთანხმა ოქმს სამართალდარღვევის ჩადენის თაობაზე.

აპარატის წარმომადგენლის მიერ 2018 წლის 16 თებერვალს შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი №0000556 საქართველოს მთავარი პროკურატურის მიერ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-6 მუხლით გათვალისწინებული სამართლებრივი საფუძვლის გარეშე ვებგვერდზე - ინფორმაციის განთავსების გზით . განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალური მონაცემების დამუშავების თაობაზე. 2018 წლის 16 თებერვალს პროკურატურის წარმომადგენელი პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატში გაეცნო და ხელი მოაწერა სამართალდარღვევის ოქმს და მიუთითა, რომ პროკურატურის მიერ განცხადების განხილვის ფარგლებში წარმოდგენილი ინფორმაციითა და განმარტებებით იხელმძღვანელოს ინსპექტორის აპარატმა.

სამოტივაციო ნაწილი

განცხადების განხილვის ფარგლებში გამოვლენილი გარემოებების საფუძველზე ინსპექტორმა იმსჯელა პერსონალური მონაცემების დამუშავების კანონიერებაზე.

1. *საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის მიერ პერსონალური მონაცემების დამუშავების კანონიერება*

განცხადების განხილვის ფარგლებში წარმოდგენილი ინფორმაციისა და დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ:

- საგამოძიებო სამსახური არის სამინისტროს სისტემაში სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების სტატუსით შემავალი სპეციალური სამართალდამცავი ორგანო, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ახორციელებს მის ქვემდებარეობას მიკუთვნებულ საქმეთა გამოძიებას;
- საგამოძიებო სამსახურში 2012 წლის სექტემბრის თვემდე საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური რაიმე ფორმით არ არსებობდა და შესაბამისად, როგორც წესი, აღნიშნულ პერიოდამდე საზოგადოების ინფორმირებას სამსახურის კომპეტენციას მიკუთვნებული საქმიანობის განხორციელების თაობაზე ახდენდა სამინისტრო;
- 2010 წელს საგამოძიებო სამსახურმა, მაღალი საჯარო ინტერესისა და დანაშაულის პრევენციის მიზნით, სამინისტროს

გადასცა ინფორმაცია

- 2010 წლის 09 აგვისტოს სამინისტრომ საგამოძიებო სამსახურის მიერ მიწოდებული ზემოაღნიშნული ინფორმაცია ვებგვერდზე განთავსების გზით გაასაჯაროვა. აღნიშნული ინფორმაცია ვებგვერდზე დღემდე ხელმისაწვდომია საზოგადოებისათვის მონაცემთა სუბიექტების იდენტიფიცირებული ფორმით;
- დღეის მდგომარეობით ინფორმაციის საჯაროობა არ ემსახურება საგამოძიებო სამსახურის მიზნებს;
- საგამოძიებო სამსახურისათვის უცნობია დღეის მდგომარეობით სამინისტროს ვებგვერდზე ზემოაღნიშნული ინფორმაციის განთავსების მიზანი, ვინაიდან მისივე განმარტებით, სამინისტროს ვებგვერდზე ინფორმაციის განთავსება და მისი შემდგომი მართვა სცილდება საგამოძიებო სამსახურის კომპეტენციას.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ საგამოძიებო სამსახურის მიერ

პერსონალური მონაცემების შემცველი ინფორმაციის გადაცემა სამინისტროსთვის განხორციელდა 2010 წელს, ხოლო დღეს სამსახურს მისი საჯაროობის ინტერესი არ გააჩნია. თავის მხრივ, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონი ამოქმედდა 2012 წლის 01 მაისიდან. მოცემულ შემთხვევაში სახეზეა არა დენადი სამართალდარღვევა, არამედ კანონის ამოქმედებამდე მომხდარი და დასრულებული ქმედება, რაც ინფორმაციის სამინისტროსთვის გადაცემაში გამოიხატა.

„ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ნორმატიულ აქტს უკუძალა აქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს პირდაპირ არის დადგენილი ამ ნორმატიული აქტით. ამასთან, ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ნორმატიულ აქტს, რომელიც ადგენს ან ამძიმებს პასუხისმგებლობას უკუძალა არ აქვს.

ზემოაღნიშნული ნორმების ანალიზი ცხადყოფს, რომ 2010 წელს საგამოძიებო სამსახურის მიერ სამინისტროსათვის მონაცემების გადაცემის ფაქტზე ვერ გავრცელდება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონი და ის ვერ შეფასდება მონაცემთა დამუშავებად, შესაბამისად, ინსპექტორი მოკლებულია შესაძლებლობას იმსჯელოს მონაცემთა დამუშავების კანონიერებასა და სამართალდარღვევის ფაქტის არსებობასთან დაკავშირებით.

2. *საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ პერსონალური მონაცემების დამუშავების კანონიერება*

მოცემულ შემთხვევაში დადგენილი გარემოებაა, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ვებგვერდზე - [redacted] განთავსების გზით ასაჯაროებს [redacted] პერსონალურ მონაცემებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტრო „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ა", „დ", „ვ" და „ი" ქვეპუნქტების შესაბამისად, როგორც მონაცემთა დამმუშავებელი, ახორციელებს ზემოაღნიშნული მონაცემთა სუბიექტების პერსონალური მონაცემების დამუშავებას.

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლი განსაზღვრავს მონაცემთა დამუშავების საფუძვლებს. კერძოდ, აღნიშნული მუხლის თანახმად, მონაცემთა დამუშავება დასაშვებია, თუ: არსებობს მონაცემთა სუბიექტის თანხმობა; მონაცემთა დამუშავება გათვალისწინებულია კანონით; მონაცემთა დამუშავება საჭიროა მონაცემთა დამმუშავებლის მიერ მისთვის კანონმდებლობით დაკისრებული მოვალეობების შესასრულებლად; მონაცემთა დამუშავება საჭიროა მონაცემთა სუბიექტის სასიცოცხლო ინტერესების დასაცავად; მონაცემთა დამუშავება აუცილებელია მონაცემთა დამმუშავებლის ან მესამე პირის კანონიერი ინტერესების დასაცავად, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც არსებობს მონაცემთა სუბიექტის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის აღმატებული ინტერესი და სხვა. კანონი ამოქმედდა 2012 წლის 1 მაისიდან.

განცხადების განხილვის ფარგლებში წარმოდგენილი ინფორმაციისა და დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ:

- 2010 წლის [redacted] განათავსა საგამოძიებო სამსახურის მიერ მიწოდებული ინფორმაცია, რომელიც დღემდე საჯაროდ ხელმისაწვდომია;
- სამინისტროს მიერ ვებგვერდზე განთავსების გზით გასაჯაროებული ინფორმაცია, იდენტიფიცირებული ფორმით შეიცავს განმცხადებლის და სხვა პირების პერსონალურ მონაცემებს (მათ შორის, მათ სახელებს, გვარებს, საქმიანობას, ჩადენილ დანაშაულებრივ ქმედებას და ა.შ).

აღსანიშნავია, რომ განცხადების განხილვის ფარგლებში სამინისტროს მიერ წარმოდგენილი პოზიციის თანახმად, ინფორმაცია სამინისტროს ვებგვერდზე გამოქვეყნდა 2010 წელს მაშინ მოქმედი სამართლებრივი აქტების საფუძველზე, რადგან იმ პერიოდისათვის არ არსებობდა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონი. ამასთან, მიუხედავად იმ გარემოებისა, რომ დღემდე ხელმისაწვდომია ინფორმაცია ვებგვერდზე, ვინაიდან ქმედება სამინისტროს მიერ განხორციელდა 2010 წელს, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონი არ ადგენს რეგულაციებს მის ამოქმედებამდე წარმოშობილ შესაბამის სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით. ინსპექტორის მიერ ვერ იქნება გაზიარებული სამინისტროს აღნიშნული პოზიცია შემდეგ გარემოებათა გამო:

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 55-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, ინსპექტორის მიერ უფლებამოსილი პირი საქმეს განიხილავს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით დადგენილი წესით. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-9 მუხლის შესაბამისად კი, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენმა პასუხი უნდა აგოს სამართალდარღვევის ჩადენის დროს და ადგილას მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე. აქტებს, რომლებიც აწესებენ ან აძლიერებენ პასუხისმგებლობას ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის, უკუქცევითი ძალა არა აქვს. ამავე კოდექსის 38-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული სახდელი პირს შეიძლება დაედოს არა უგვიანეს ორი თვისა სამართალდარღვევის ჩადენის დღიდან, ხოლო როცა სამართალდარღვევა დენადია – არა უგვიანეს ორი თვისა მისი გამოვლენის დღიდან.

აღსანიშნავია, რომ სამინისტრომ პერსონალური მონაცემების შემცველი განცხადება ვებგვერდზე განათავსა 2010 წლის თუმცა ქმედება ხორციელდება უწყვეტად (დენადად) და არ არის დასრულებული, რადგან სამინისტრო მონაცემთა სუბიექტების იდენტიფიცირებული ფორმით დღემდე ამუშავებს მონაცემებს ვებგვერდზე გასაჯაროების გზით. აღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტროს მიერ მონაცემთა დამუშავების ფაქტზე „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მოქმედების გავრცელება ვერ იქნება მიჩნეული კანონის უკუძალად, რადგან სამართალდარღვევა არ არის დასრულებული და კვლავ გრძელდება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან სამინისტრო ვებგვერდის - მეშვეობით გასაჯაროების გზით დღემდე ამუშავებს

პერსონალურ მონაცემებს, აღნიშნული ქმედების კანონიერად მიჩნევისათვის სახეზე უნდა იყოს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 და მე-6 მუხლებით განსაზღვრული რომელიმე საფუძველი.

განცხადების განხილვის ფარგლებში სამინისტროს მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, 2010 წელს მონაცემების ვებგვერდზე განთავსება ემსახურებოდა საგამოძიებო სამსახურის საქმიანობის შესახებ საზოგადოების ინფორმირების მიზანს და აღნიშნული ინფორმაცია დღემდე იმავე მიზნით არის ხელმისაწვდომი ვებგვერდზე. თავის მხრივ, საზოგადოების ინფორმირება მიზნად ისახავს მათ გაფრთხილებას, რომ კონკრეტულ დარღვევას სახელმწიფო ორგანოს მხრიდან მოჰყვება ადეკვატური რეაგირება. ამასთან, სამინისტროს განმარტებით, იგივე მიზანი არსებობს დღესაც, ვინაიდან კანონმდებლობა არ შეცვლილა და საგამოძიებო სამსახურის ფუნქცია არის კონკრეტულ დანაშაულებრივ ქმედებებზე კანონით გათვალისწინებული რეაგირების განხორციელება. აღსანიშნავია, რომ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ე“ პუნქტის თანახმად, მონაცემთა დამუშავება დასაშვებია, თუ ის აუცილებელია მონაცემთა დამმუშავებლის ან მესამე პირის კანონიერი ინტერესების დასაცავად, გარდა იმ შემთხვევისა,

როდესაც არსებობს მონაცემთა სუბიექტის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის აღმატებული ინტერესი. ხოლო ამავე მუხლის „ზ“ პუნქტის შესაბამისად, მონაცემთა დამუშავება დასაშვებია, თუ ის აუცილებელია კანონის შესაბამისად მნიშვნელოვანი საჯარო ინტერესის დასაცავად.

დანაშაულის თავიდან აცილებისა და მისი აღმოფხვრის უზრუნველყოფა ცალკე აღებული წარმოადგენს მნიშვნელოვან საჯარო ინტერესს და შესაბამისად, შეიძლება გახდეს პერსონალურ მონაცემთა დამუშავების საფუძველი, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ზ“ პუნქტის თანახმად. თუმცა, მნიშვნელოვანია მოცემულ შემთხვევაში შეფასდეს კონკრეტული მონაცემთა სუბიექტების პერსონალური მონაცემების გასაჯაროება (გამჟღავნება) რამდენად აუცილებელია საჯარო ინტერესის დასაცავად.

დანაშაულის პრევენციის მიზნის მისაღწევად მნიშვნელოვანია საზოგადოებას მიეწოდოს ინფორმაცია საგამოძიებო სამსახურის მიერ დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში განხორციელებული წარმატებების თაობაზე, კონკრეტულად, გამოვლენილი და აღკვეთილი დანაშაულების შესახებ. თუმცა, მოცემულ შემთხვევაში 2010 წელს დანაშაულის შესაძლო ჩამდენი პირების იდენტიფიცირება და მათ შესახებ ინფორმაციის გავრცელება არ წარმოადგენს დანაშაულის პრევენციის აუცილებელ პირობას და მას არ შეუძლია გავლენა მოახდინოს საზოგადოების აზრის ფორმირებაზე. მნიშვნელოვანი საჯარო ინტერესის დაცვის მიზანი მიიღწევა ვებგვერდზე ინფორმაციის ისეთი ფორმით განთავსებითაც, რომლითაც არ იქნება შესაძლებელი მონაცემთა სუბიექტების იდენტიფიცირება. აღსანიშნავია, რომ განცხადების განხილვის ფარგლებში სამინისტრომ დაადასტურა, რომ დღეს არსებული მიზნის მიღწევა (საგამოძიებო სამსახურის საქმიანობის შესახებ საზოგადოების ინფორმირების მიზანი. თავის მხრივ, საზოგადოების ინფორმირება მიზნად ისახავს მათ გაფრთხილებას, რომ კონკრეტულ დარღვევას სახელმწიფო ორგანოს მხრიდან მოჰყვება ადეკვატური რეაგირება) სამინისტროს შეუძლია განცხადებაში მითითებული მონაცემების დეპერსონალიზაციის შემთხვევაშიც.

ამასთან, პერსონალური მონაცემების დამუშავების საფუძველი ვერ იქნება აღნიშნული პირების მიერ დანაშაულის ჩადენის პრევენციის მიზანი, ვინაიდან ისინი ჯერ კიდევ 2010 წელს საგამოძიებო სამსახურის მიერ დაკავებულები იყვნენ და სახელმწიფოს კონტროლის ფარგლებში ჰქონდა მოქცეული მათგან მომავალი შესაძლო საფრთხე. ვებგვერდზე განთავსებულ განცხადებებში ასევე არ ყოფილა კონკრეტული მითითება

მიერ ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხეებზე

და აღნიშნული განცხადებებით მხოლოდ საგამოძიებო სამსახურის მიერ გამოვლენილი სავარაუდო დანაშაულის ჩამდენი პირების თაობაზე საზოგადოების ინფორმირება მოხდა.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, მისი ვებგვერდის მეშვეობით, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-

5 მუხლით გათვალისწინებული სამართლებრივი საფუძვლის გარეშე ასაჯაროებს

პერსონალურ მონაცემებს, რაც

წარმოადგენს ზემოაღნიშნული კანონის 43-ე მუხლის 1-ლი პუნქტით განსაზღვრული ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველს.

ამასთან, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 23-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული სახდელი წარმოადგენს პასუხისმგებლობის ზომას და გამოიყენება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენის აღსაზრდელად კანონების დაცვის, საერთო ცხოვრების წესების პატივისცემის სულისკვეთებით, აგრეთვე როგორც თვით სამართალდამრღვევის, ისე სხვა პირთა მიერ ახალი სამართალდარღვევების ჩადენის აცილების მიზნით. ამავე კოდექსის 33-ე მუხლის შესაბამისად, სახდელის დადებისას მხედველობაში მიიღება ჩადენილი სამართალდარღვევის ხასიათი, დამრღვევის პიროვნება, მისი ბრალის ხარისხი, ქონებრივი მდგომარეობა, პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებანი. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 34-ე მუხლი განსაზღვრავს ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებებს. ამავე მუხლის თანახმად, ორგანოს (თანამდებობის პირს), რომელიც ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეს წყვეტს, შეუძლია შემამსუბუქებლად მიიჩნიოს ისეთი გარემოებანიც, რომლებიც არ არის აღნიშნული კანონმდებლობაში.

ვინაიდან „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის 43-ე მუხლის პირველი პუნქტი ადმინისტრაციული სახდელის სახით ითვალისწინებს გაფრთხილების ან ჯარიმის დაკისრების შესაძლებლობას, ადმინისტრაციული სახდელის განსაზღვრისას ინსპექტორი ითვალისწინებს გარემოებას, რომ სამინისტრომ განცხადება ვებგვერდზე განათავსა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის ამოქმედებამდე და ამ მომენტისათვის ის ხელმისაწვდომია სამინისტროს
მიზანშეწონილად მიიჩნევს ადმინისტრაციული სახდელის სახით სამინისტროსთვის გაფრთხილების შეფარდებას.

3. საქართველოს მთავარი პროკურატურის მიერ

ვებგვერდის მეშვეობით პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერება

მოცემულ შემთხვევაში დადგენილი გარემოებაა, რომ საქართველოს მთავარი პროკურატურა

განთავსების გზით ასაჯაროებს

განსაკუთრებული

კატეგორიის მონაცემებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, პროკურატურა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ა", „ბ", „დ", „ვ" და „ი" ქვეპუნქტების შესაბამისად, როგორც მონაცემთა დამმუშავებელი, ახორციელებს

ზემოაღნიშნულ მონაცემთა სუბიექტების განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავებას.

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, ინფორმაცია დაკავშირებული პირის ნასამართლობასთან, პირისთვის აღკვეთის ღონისძიების შეფარდებასთან, პირთან საპროცესო შეთანხმების დადებასთან და დაზარალებულად ცნობასთან არის განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემები. ამავე კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების დამუშავება დასაშვებია მონაცემთა სუბიექტის წერილობითი თანხმობით ან ამავე პუნქტით გათვალისწინებული სხვა საფუძვლით. განცხადების განხილვის ფარგლებში წარმოდგენილი ინფორმაციისა და დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ:

- საქართველოს მთავარი პროკურატურის სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტის დებულების მიხედვით, დეპარტამენტის ამოცანებია: სამართალწარმოების მიმდინარეობისას შესაძლო დანაშაულებრივ ფაქტებზე, მათ შორის წამების, არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობის, ქონების იძულებით დათმობისა და სხვა იძულების ფაქტებზე პროკურატურის მიერ დადგენილ საქმეებზე სრული მოცულობით გამოძიების წარმოება და სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელება;
- 2017 წლის დეპარტამენტის წარმოებაში არსებულ სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილი იქნა შემაჯამებელი გადაწყვეტილებები და საქართველოს მთავრობის 2015 წლის განკარგულების საფუძველზე

  დაუბრუნდათ უკანონოდ

  ჩამორთმეული ქონება;
- საქართველოს პროკურატურის ვებგვერდზე

  ქართულ და ინგლისურ ენებზე გასაჯაროებულია 2017 წლის დათარიღებული განცხადებები, რომლითაც საზოგადოებას მიეწოდება ინფორმაცია საქართველოს მთავარი პროკურატურის სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტის გადაწყვეტილებით დაზარალებული მოქალაქეებისათვის უკანონოდ ჩამორთმეული ქონების დაბრუნების თაობაზე. აღნიშნულ განცხადებებში იდენტიფიცირებული ფორმით მითითებულია

შესახებ ინფორმაცია. გარდა აღნიშნულისა,

განცხადებებში ასახულია ინფორმაცია

შესახებ.

საქართველოს მთავარი პროკურატურის განმარტებით, შესახებ დადგენილების გამოტანის შემდეგ ჩატარდა საინფორმაციო შეხვედრა [redacted] მათ შორის [redacted] მათ განემარტათ, რომ ცნობილ იქნენ დაზარალებულებად და დაიწყებოდა მათ მიმართ უკანონოდ ჩამორთმეული ქონების დაბრუნების სამართლებრივი პროცედურები. ასევე, განემარტათ, რომ ჩატარდებოდა შეხვედრა მასმედიის წარმომადგენლების თანდასწრებით და მათი თანხმობის შემთხვევაში, გასაჯაროვდებოდა მათი საქმეები და მიღებული შედეგები, სურვილის შემთხვევაში კი თავადაც ექნებოდათ საკუთარ საქმეებზე სატელევიზიო კომენტარის გაკეთების შესაძლებლობა. შეხვედრაზე ყველა დაზარალებულის მიერ გაცხადებულ იქნა თანხმობა (ზეპირი ფორმით) მათ საქმეებზე მოკლე ინფორმაციის გასაჯაროების შესახებ და გამოითქვა სურვილი დაგეგმილ ფორმატში მიეღოთ მონაწილეობა. პროკურატურამ ასევე მიუთითა, რომ [redacted] შემთხვევაში სატელევიზიო კომენტარი გააკეთა [redacted] და თავად გახადა საჯარო [redacted] და მათთვის საცხოვრებელი ბინის უკანონოდ ჩამორთმევის შესახებ ინფორმაცია. განცხადების განხილვის ფარგლებში, პროკურატურის მიერ მისი მონაცემების დამუშავების საკითხთან დაკავშირებით [redacted] განმარტა, რომ [redacted] სატელევიზიო კომენტარში მისი იდენტიფიცირება არ მოუხდენია და გააკეთა ზოგადი კომენტარი ფაქტთან დაკავშირებით. [redacted] ასევე განმარტა, რომ საქართველოს მთავარი პროკურატურისთვის არ მიუცია წერილობითი თანხმობა მისი მონაცემების დამუშავების თაობაზე, ამასთან დაზარალებულებთან საინფორმაციო შეხვედრაზე ზეპირი ფორმით თანხმობა განაცხადა არა მისი განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების დამუშავებაზე, არამედ სატელევიზიო კომენტარის გაკეთებაზე [redacted] გარემოებების ზოგადი აღწერისა და უკანონოდ ჩამორთმეული ქონების დაბრუნების საკითხთან დაკავშირებით. ამასთან, პროკურატურის მიერ გამოქვეყნებული განცხადებაში და სატელევიზიო სიუჟეტში გამოყენებული ტექსტი, რომელიც შეიცავს [redacted] პერსონალურ მონაცემებს იდენტიფიცირებული ფორმით, არ იყო შეთანხმებული მონაცემთა სუბიექტთან.

რაც შეეხება, [redacted]
ასევე [redacted]
და [redacted] შესახებ ინფორმაციის გამჟღავნების საკითხს, განცხადების განხილვის ფარგლებში, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის უფლებამოსილი პირის მიერ გადამოწმდა [redacted] და მათ მიერ გაკეთებული კომენტარების ამსახველი სატელევიზიო სიუჟეტი (იხ: [redacted]

რის შედეგაც დადგინდა შემდეგი:

- აღნიშნული სატელევიზიო სიუჟეტის ფარგლებში საჯარო არ გაუხდია მისი განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემი, კერძოდ, შესახებ ინფორმაცია;
- აღნიშნული სატელევიზიო სიუჟეტის ფარგლებში ფარგლებში არ გაუკეთებია კომენტარი და შესაბამისად, თავად არ გაუხდია საჯარო

- აღნიშნული სატელევიზიო სიუჟეტის ფარგლებში არ გაუსაჯაროებია მისი შესახებ ინფორმაცია და საჯარო გახადა მხოლოდ განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების შემცველი ინფორმაცია, კერძოდ, მასთან

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე,

თავად არ გაუსაჯაროებიათ მათი განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების შემცველი ინფორმაცია და მათი დამუშავების კანონიერად მიჩნევისათვის საქართველოს მთავარ პროკურატურას უნდა მიეღო წერილობითი თანხმობა მონაცემთა სუბიექტებისაგან, რაც ვერ იქნა წარმოდგენილი განცხადების განხილვის ფარგლებში.

პროკურატურის პოზიცია, რომ ვებგვერდის მეშვეობით გასაჯაროვების გზით განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების დამუშავების სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენდა მონაცემთა სუბიექტების მიერ გაცხადებული ზეპირი თანხმობა, ვერ იქნება გაზიარებული შემდეგი გარემოებების გათვალისწინებით:

- „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავებისათვის მონაცემთა სუბიექტის თანხმობა უნდა არსებობდეს წერილობითი ფორმით;
- განცხადების განხილვის ფარგლებში გამოვლენილი გარემოებების თანახმად, საქართველოს მთავარ პროკურატურას არ წარმოუდგენია პირთა წერილობითი თანხმობები ვებგვერდზე განთავსების გზით მათი განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების გასაჯაროების საკითხთან დაკავშირებით.

გარდა ზემოაღნიშნულისა, მნიშვნელოვანია, რომ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის თანახმად, განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების დამუშავება დასაშვებია თუ, მონაცემთა სუბიექტმა საჯარო გახადა მის შესახებ მონაცემები მათი გამოყენების აშკარა აკრძალვის გარეშე. ინსპექტორის მიერ ასევე ვერ იქნება გაზიარებული პროკურატურის პოზიცია იმის თაობაზე, რომ განმცხადებლის მიერ მასმედიისათვის მიცემული ინტერვიუს მეშვეობით გასაჯაროებული ინფორმაცია შესაძლებელია გამხდარიყო განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების დამუშავების საფუძველი.

აღსანიშნავია, რომ განცხადების განხილვის ფარგლებში წარმოდგენილი განმცხადებლის განმარტებით, პროკურატურის ვებგვერდზე იდენტიფიცირებული ფორმით მისი მონაცემების ხელმისაწვდომობა ნეგატიურად მოქმედებს მის საქმიან რეპუტაციაზე და ითხოვს ინიციალებით მისი ვინაობის შეცვლას ან აღნიშნული მონაცემის წაშლას. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის თანახმად, მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს, ნებისმიერ დროს, განმარტების გარეშე მოითხოვოს მონაცემთა დამუშავების შეწყვეტა ან/და დამუშავებულ მონაცემთა განადგურება. მონაცემთა დამმუშავებელი ვალდებულია მონაცემთა სუბიექტის მოთხოვნის შესაბამისად შეწყვიტოს მონაცემთა დამუშავება ან/და გაანადგუროს დამუშავებული მონაცემები განცხადების წარდგენიდან 5 დღის ვადაში, თუ არ არსებობს მონაცემთა დამუშავების სხვა საფუძველი.

ზემოაღნიშნული ნორმის ანალიზი ცხადყოფს, რომ პროკურატურა ვალდებულია უზრუნველყოს ვებგვერდის მეშვეობით გასაჯაროვებული პერსონალური მონაცემების შემცველი ინფორმაციის წაშლა ან დეპერსონალიზებული ფორმით განთავსება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს მთავარი პროკურატურა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლით გათვალისწინებული სამართლებრივი საფუძვლის გარეშე ვებგვერდზე - ინფორმაციის განთავსების გზით ამუშავებს (ამჟღავნებს)

განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემებს, რაც წარმოადგენს აღნიშნული კანონის 45-ე მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველს.

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 55-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, ინსპექტორის მიერ უფლებამოსილი პირი საქმეს განიხილავს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით დადგენილი წესით. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 38-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით კი, ადმინისტრაციული სახდელი პირს შეიძლება დაედოს არა უგვიანეს ორი თვისა სამართალდარღვევის ჩადენის დღიდან, ხოლო როცა სამართალდარღვევა დენადია – არა უგვიანეს ორი თვისა მისი გამოვლენის დღიდან. მოცემულ შემთხვევაში, საქართველოს მთავარი პროკურატურის მიერ განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალური მონაცემების შესაბამისი საფუძვლების გარეშე დამუშავება ხორციელდება დენადად, მუდმივ რეჟიმში, ინფორმაცია განთავსების დღიდან დღემდე ხელმისაწვდომია ოფიციალურ ვებგვერდზე

ყოველივე ზემოაღნიშნულის, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსისა და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2, მე-5, მე-6, 27-ე, 34-ე, 39-ე, 43-ე, 45-ე და 55-ე მუხლების საფუძველზე,

ინსპექტორმა გადაწყვიტა:

1. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ცნობილ იქნას სამართალდამრღვევად „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 43-ე მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენაში და ადმინისტრაციული სახდელის სახით შეეფარდოს გაფრთხილება; ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი №0000555;
2. საქართველოს მთავარი პროკურატურა ცნობილ იქნას სამართალდამრღვევად „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 45-ე მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენაში და ადმინისტრაციული სახდელის სახით შეეფარდოს ჯარიმა 1000 (ათასი) ლარის ოდენობით; ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი №0000556;
3. ჯარიმის გადახდა გადაწყვეტილების ჩაბარებიდან 30 დღის განმავლობაში უნდა მოხდეს შემდეგ ანგარიშზე ჩარიცხვით: სახაზინო კოდი/ანგარიშის ნომერი 302003242; ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი №0000556;
4. დაევალოს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ამ გადაწყვეტილების ჩაბარებიდან 5 (ხუთი) დღის ვადაში უზრუნველყოს ვებგვერდზე გამოქვეყნებული და განცხადების განხილვის ფარგლებში განხილული პერსონალური მონაცემების შემცველი ინფორმაციის წაშლა ან დეპერსონალიზებული ფორმით განთავსება;
5. დაევალოს საქართველოს მთავარ პროკურატურას ამ გადაწყვეტილების ჩაბარებიდან 5 (ხუთი) დღის ვადაში უზრუნველყოს ვებგვერდზე გამოქვეყნებული:

5.1 პერსონალური მონაცემების (მათ შორის განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალური მონაცემების) შემცველი ინფორმაცის წაშლა ან დეპერსონალიზებული ფორმით განთავსება;

5.2 განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალური მონაცემების შემცველი ინფორმაციის წაშლა ან დეპერსონალიზებული ფორმით განთავსება;

6. დასრულდეს 2017 წლის 13 დეკემბრის №PDP 8 17 00004459 განცხადების განხილვა;
7. განმცხადებელს, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურსა და საქართველოს მთავარ პროკურატურას ეცნობოთ მიღებული გადაწყვეტილების შესახებ;

8. გადაწყვეტილება შესაძლებელია გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6) ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან 10 (ათი) დღის ვადაში.

თამარ ქალდანი

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი